ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7691606

ნომერი: AR11110318

თარიღი : 25.09.2025

გაცემის თარიღი : 05.11.2025

გაცნობის თარიღი : 05.11.2025

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ირაკლი ქემოკლიძის ქუჩა, N 19; ქალაქი თბილისი, ირაკლი ქემოკლიძის ქუჩა, N 17;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დიმიტრი მარგალიტაშვილი პ/ნ 01019019043
- თბილისი ზესტაფონის ქ. N 18 კორ. 3 ბ. 21

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- ორი ან მეტი ფუნქციის მქონე ობიექტები
  - მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2025 წლის 25 სექტემბრის AR11110318 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ N 01.11.04.027.062; 01.11.04.027.060 მიწის ნაკვეთზე კლუბის (მრავალფუნქციური დარბაზით შეხვედრებისათვის, გამოფენებისათვის) ფუნქციით მშენებლობის მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებას.
სამსახურს წარმოდგენილი ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარება შესაძლებლად მიაჩნია საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2) -ით. ხოლო, საცხოვრებელი ზონა 2 - არის დაბალი ინტენსივობის ერთგვაროვანი საცხოვრებელი ქვეზონა, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ საცხოვრებელი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური ვერ დააკმაყოფილებს თქვენს 2025 წლის 25 სექტემბრის AR11110318 განცხადებას, რომლითაც ითხოვთ რეგისტრირებულ ს/კ N 01.11.04.027.062; 01.11.04.027.060 მიწის ნაკვეთზე კლუბის (მრავალფუნქციური დარბაზით შეხვედრებისათვის, გამოფენებისათვის) დანიშნულებით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებას.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.